„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №11-12 (9577-78) ● 1-30 ივნისი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი გუგუჩიას ინიციატივით სამეგრელოს რეგიონის მუნიციპალიტეტებში პერმანენტულად იმართება სამუშაო შეხვედრები.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, სახელმწიფო რწმუნებულმა, პირველ მოადგილესთან, ნინო ვიბლიანთან და ხელმწიფო რწმუნებულმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან, მერის პირველ მოადგილესთან ბადრი ქუთელიასთან, მერის მოადგილე ნანა ზარანდიასთან ერთად გამართა მოქალაქეთა მიღება, სამუშაო შეხვედრები - მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, სენაკის მუნიციპალიტეტში მოქმედი მუნიციპალური აიპების - საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ხელოვნების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების წარმომადგენლებთან. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების, მზრუნველობა მოკლებულთა კვების ცენტრის, მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისა და საფეხბურთო კლუბის წარმომადგენლებთან.

სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, მისი საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია, მათი პრობლემების შესწავლა და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებაა.

სენაკის არტ-ფესტი საზეიმოდ დაიხურა

29 მაისს, ,,სენაკის მუსიკალური ფესტივალი 2024," რომელიც 19 მაისს დაიწყო, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გალაკონცერტით საზეიმოდ დაიხურა. ლაურეატთა და დიპლომანტთა დაჯილდოების და ფესტივალის საზეიმო დახურვის ცერემონიალს ,,სენაკი არტ-ფესტის" დამაარსებელი, ხელოვნების აკადემიის რექტორი, მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, სენაკის საპატიო მოქალაქე, ვალერიან შიუკაშვილი და ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი, სენაკის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი, რუსუდან მილიუტინი უძღვებოდნენ. გალაკონცერტს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობის, სამუსიკო და სახელოვნებო სექტორების, საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. ფესტივალის ფარგლებში, კომპეტენტურმა ჟიურიმ, ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს მასშტაბით - ბათუმის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ხონის, სუფსის, ხარაგაულის, ჩხოროწყუს, წითელხევის, საჩხერეს, ბაღდადის, გომის, სამტრედიის, ტყიბულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ვანის, ლანჩხუთის, ხელვაჩაურის, ტოლების, კულაშის, ჩოხატაურის, ხობის, აბაშის, ოზურგეთის, დიდი ჯიხაიშის, მარტვილის, წყალტუბოს, ონისა და სენაკის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების 2 500 -ზე მეტ მოსწავლეს მოუსმინა, რომელთაგან, ლაურეატის წოდება 41 შემსრულებელსა და შემოქმედებით ჯგუფს მიენიჭა, მათ შორისაა, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდი, გოგონათა ვოკალური ანსამბლი, საფორტეპიანო დუეტი- ანასტასია შომახიას და დავით ქურასბედიანის შემადგენლობით, ხალხურ საკრავთა ჯგუფი ,,მორდუ", საორკესტრო განყოფილების წარმატებული მოსწავლეები: ლიკა კორსავა და ლენა სებისკვერაძე, საესტრადო განყოფილების წარმატებული მოსწავლეები: ნიკოლოზ გრიგოლია და მარიამ გარუჩავა. სხვა მონაწილენი კი - ხელოვნების აკადემიის საპატიო დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, წარმატებები უსურვეს მუსიკალური ფესტივალის თითოეულ მონაწილეს და მადლიერება გამოხატეს იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც 11 წლის მანძილზე თავიანთი წვლილი შეიტანეს ფესტივალის განვითარების ისტორიაში. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ფულადი ჯილდო გადასცა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და საორკესტრო (ფლეიტა) განყოფილებების მოსწავლეს, ხალხური საკრავების ჯგუფის ,,მორდუს" და გოგონათა ვოკალური ანსამბლის წევრს, ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდის სოლისტს, ხელოვნების ცენტრის საესტრადო განყოფილების კურსამთავრებულს, სენაკის XI მუსიკალური ფესტივალის ლაურეატს, ფესტივალების და კონკურსების არაერთგზის ლაურეტს და საპრიზო ადგილების მფლობელს, ლენა სებისკვერაძეს. სენაკის XI მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, გაიმართა ,,სუხიშვილების" პატარა თაობის და ცნობილი ქართველი შემსრულებლის, თემურ თათარაშვილის კონცერტები; მოეწყო ქართველი პიანისტის და ფოტოგრაფის, გელა მეგრელიძის ფოტოგამოფენა და მუსიკოს, კატო გიორგაძის დოკუმენტური ფილმის ჩვენება; ხელოვნების აკადემიის რექტორის, ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული და საერთაშორისო კონკურსებისა და სენაკის არტ-ფესტივალის დამაარსებლის, ვალერიან შიუკაშვილისა და მსოფლიოში ცნობილი ვირტუოზი პიანისტის, პაბლო გალდოს მასტერკლასები ფორტეპიანოში. ,,სენაკი არტ-ფესტივალი 2024'', სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის პატრონაჟით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს მხარდაჭერითა და ხელოვნების აკადემიის ინიციატივით, წელს, მეთერთმეტედ გაიმართა და ტრადიციულად, სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა, ფესტივალის ჰიმნად ქცეული ვაჟა აზარაშვილის ,,მუსიკით'', დაასრულა.

ასფალტირების სამუშაოები

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჟვანიო-ისულას დამაკავშირებელ გზაზე, დაიწყო ასფალტირების სამუშაოები.

პროექტის მიმდინარეობას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად გაეცნო.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, 689 გრძ.მ-ზე, დაიგება 2 ფენა ასფალტის საფარი, მოეწყობა ტროტუარები და სანიაღვრე სისტემა.

პროექტი, რომლის ღირებულება 417 666 ლარს შეადგენს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

შეხვედრა გიორგი ჩხიკვაძესთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის

სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ტიტულოვან სენაკელ სპორტსმენს, გიორგი ჩხიკვაძეს და მწვრთნელებს: ამირან დავითაიას და ვალერი მურღულიას შეხვდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა, სენაკელ ფალავანს, ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცა. 22 მაისს, ბაქოში გამართულ 23 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, გიორგი ჩხიკვაძემ, თურქი, უნგრელი, ბულგარელი და აზერბაიჯანელი მეტოქეების დამარცხების შემდეგ, ფინალში, ლიეტუველ სავიცკასს სძლია და საქართველოს ნაკრებს, ტურნირზე, ოქროს მეორე მედალი მოუტანა. წარმატებული სენაკელი სპორტსმენი გახლავთ საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, ჭაბუკებს შორის ევროპის ორგზის პრიზიორი, 23 წლამდელთა შორის ევროპის პრიზიორი, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, საფრანგეთის გრან-პრის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენისა და 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულების მფლობელი.

საფეხბურთო ფესტივალი

სენაკის მუნიციპალიტეტსა და შპს "დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 25 და 26 მაისს, სენაკის ცენტრალურ სტადიონზე, საფეხბურთო ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 2012-2014 და 2015-2017 წლებში დაბადებულმა 150-მდე ნორჩ ფეხბურთელმა - სენაკის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ლანჩხუთის და მესტიის მუნიციპალიტეტებიდან. ფესტივალის მხარდამჭერებია ონლაინ მაღაზია ,,ისურვე" და წიგნების მაღაზია ,,ლიბრა", რომელთაც მონაწილე გუნდებს, მწვრთნელებს და გუნდების კაპიტნებს, თასები და სამახსოვრო

პრიზები საჩუქრად გადასცეს. ფესტივალის მიზანია საუკეთესო ფეხბურთელების გამოვლენა და რეგიონული საფეხბურთო ნაკრების შექმნა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, როგორც ქალაქად, ისე ადმინისტრაციულ ერთეულებში, აქტიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან და სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სკურიას უბანში, 474 გრძ.მ-ზე მიმდინარე საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

პროექტი, რომლის ღირებულება 173 730 ლარს შეადგენს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება.

წარმატებული ახალგაზრდები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან, განათლების მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტთან, ირმა კუპრეიშვილთან ერთად, სხვადასხვა სფეროში წარმატებულ სენაკელ ახლგაზრდებს: ელიზაბეტ თათარიშვილს, ლენა სებისკვერაძეს და ზურაბ ხარგელიას შეხვდა. ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ, ზურაბ ხარგელიამ წარმატებით გაიარა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის სამივე ტური - ბიოლოგიაში და შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო შედეგების მიხედვით, ის, სიით პირველი, საუკეთესო ოთხეულში მოხვდა. ივლისში, ზურაბი, მიემგზავრება ყაზახეთის

დედაქალაქ ასტანაში, 2024 წლის ბიოლოგიის 35-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე. ელიზაბეტ (ლიზი) თათარიშვილი სენაკის კერძო სკოლა ,,მარიოტას" მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მან მონაწილეობა მიიღო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გამოცხადებულ მოხალისეობისა და საზოგადოებრივ ჩართულობის გაცვლით პროგრამაში და გამარჯვება მოიპოვა. საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 20 ახალგაზრდასთან ერთად, ლიზი, აშშ-ში იმყოფებოდა. ლენა სებისკვერაძე - სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და საორკესტრო (ფლეიტა) განყოფილებების წარმატებული მოსწავლეა, ლენა ასევე გახლავთ ხალხური საკრავების ჯგუფი ,,მორდუს" და გოგონათა ვოკალური ანსამბლის

წევრი, ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდის სოლისტი, ხელოვნების ცენტრის საესტრადო განყოფილების კურსამთავრებული, სენაკის XI მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი, ფესტივალების და კონკურსების არაერთგზის ლაურეტი და საპრიზო ადგილების მფლობელი. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, წარმატებულ ახალგაზრდებს მოპოვებული გამარჯვებები მიულოცა და ერთჯერადი ფულადი ჯილდოები გადასცა.

ამორტიზირებული ბორანი ახლით შეიცვალა

სენაკის მუნიციპალიტეტში, 2024 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი შეემატა - ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე რიონზე გადასასვლელი ამორტიზირებული ბორანი ახლით შეიცვალა.

საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ბორანი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლითაც სოფელი ჭალადიდი სირიაჩქონს უკავშირდება.

წლების მანძილზე, მდინარე რიონის ადიდებამ სენაკის მუნიციპალიტეტში არაერთხელ შექმნა პრობლემები. ბორნით სარგებლობა შეუძლებელი გახადა და გარესამყაროს, სოფელ სირიაჩქონში მცხოვრები ოჯახები მოწყვიტა.

უხვი ნალექის დროს, მდინარე მოსახლეობას მუდმივ საფრთხეს უქმნიდა, ასევე აზიანებდა საკარმიდამო ნაკვეთებს; გზის სავალ ნაწილზე შექმნილი დაზიანებები და მოშლილი ინფრასტრუქტურა კი - მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემას უქმნიდა.

პრობლემების აღმოსაფხვრელად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას მეროობის პერიოდში, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მასშტაბური პროექტები განხორციელდა: ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები; ბორნისკენ მისასვლელ, სამ კილომეტრამდე გზის მონაკვეთზე, დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი; მოეწყო გარე განათების თანამედროვე სისტემა; ტურისტული სივრცის მოწყობის კუთხით - საპიკნიკე და საკემპინგე ლოკაციები.

პროექტების განხორციელება სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომელიც შესრულდა.

დღეიდან, განახლებული ინფრასტრუქტურით, სენაკის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური, მათ შორის, ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სივრცე შეემატა.

რეაბილიტაციის პროექტები

სენაკში, ნაფეტვარიძის ქუჩაზე მდებარე ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და ეზოს კეთილმოწყობის პროექტი მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები, აივნები, შიდა კიბეები, ასევე სრულად გამოიცვლება კარ-ფანჯარა, კეთილმოეწყობა საცხოვრებელი კორპუსების ფასადები და ეზოები.

პროექტი, აღნიშნულ ლოკაციაზე, ათეული წლების შემდეგ, პირველად, მიმდინარე წელს ხორციელდება და მისი ღირებულება 397 173 ლარს შეადგენს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

პარალელურად მიმდინარეობს აკაკი ელიავასა და კლდიაშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 137 868 ლარი;

ასევე - ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის შენობის სახურავის რეაბილიტაციის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 39 902 ლარი.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში, საცხოვრებელი კორპუსების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციის, ეზოების კეთილმოწყობის მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე: ყოფილი სამხედრო

ქალაქის დევნილთა დასახლებაში; ქალაქში, გოგოლაძის მოედნის მიმდებარედ; ცაგარელის N27-ში; შოთა რუსთაველის N72-ში; ჭავჭავაძის N41-სა და N43-ში; მშვიდობის N214-ში; სტალინის ქუჩაზე; ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში - ორი მრავალბინიანი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მექანიკურ დასახლებაში არსებული და მშვიდობის N111-ში მდებარე კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია; სრულად განახლდა ქარის შედეგად დაზიანებული კორპუსების სახურავები.

ანტიმალარიული საპრევენციო სამუშაოები

სენაკში, ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში, სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ტრანსმისიურ დაავადებათა გადამტანი მწერების (კოღოების) გავრცელების საპრევენციო ანტიმალარიულ ღონისძიებებს ახორციელებს.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ეკოლოგიურად უსაფრთხო ინსექტიციდით - ,,სოლფაკით", მუშავდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სარდაფები და სადარბაზოები, ასევე - წყალსატევები.

საპრევენციო ღონისძიების მიმდინარეობას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორთან, ანა ჭიჭაღუასთან ერთად გაეცვნენ.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

ფესტივალი „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე"

UNESCO-ს გადაწყვეტილებით, სენაკს, განათლების ქალაქის სტატუსი მიენიჭა და UNESCO-ს განათლების ქალაქების ქსელის წევრი გახდა. ,,UNESCO Global Network of Learning Cities"-ის პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკის სათემო განათლების ცენტრისა და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის - ,,თბილისის პროექტთა ბიუროს"ორგანიზებით, ფესტივალი - "სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე", ქალაქის ცენტრალურ სკვერში, საზეიმოდ გაიხსნა. ფესტივალზე მისულ სტუმრებს, სხვადასხვა სივრცე და თემატური აქტივობები დახვდათ: გამოიფინა DVVI-ის ცენტრების, გაენის, შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო სტენდები და როლაპები; გაიმართა: პროფესიული კურსების მასტერკლასები; ადგილობრივი მხატვრების და ხელსაქმის ოსტატების გამოფენა-გაყიდვა; ჩატარდა კონკურსი თემაზე: "სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე"; გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ საუკეთესო ნამუშევრების ავტორები. ფესტივალის პირველი დღე დასრულდა საჯარო ლექციებით, თემებზე: ,,სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე" - ბუნებრივი ანტიდეპრესანტი; ,,ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ისტორია საქართველოში - ისტორია, რეალობა და პერსპექტივები" , რომელსაც გეშტალტფსიქოთერაპევტი, ანასტასია გეგია და პროფესორი, გიორგი კიკნაძე უძღვებოდნენ. ფესტივალის მიმდინარეობაში ჩაერთვნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, საკრებულოს წევრი, N3 საჯარო სკოლის დირექტორი, მარინე ნანეიშვილი, სენაკის სათემო განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, ნონა ქადარია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი - განათლების მიმართულებით, ირმა კუპრეიშვილი, ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ვეფხვია ვეფხვაძე. ფესტივალის დასკვნითი დღე, დაეთმო საჯარო ლექციას: "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრიორიტეტები", რომელსაც პროფესორი, ნონა ახალაშვილი უძღვებოდა. UNESCO-ს პროგრამის ძირითადი მიზანია იმ ქალაქებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, რომელთათვისაც, განათლება არის ურბანული მდგრადი განვითარების სტრატეგიული ფაქტორი. ამით, პროგრამა ეხმიანება გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგს: ქალაქი უნდა იყოს ინკლუზიური, უსაფრთხო და მედეგი გამოწვევების მიმართ. ქსელში ჩართვით, ქალაქი იღებს ვალდებულებას გააზიაროს საკუთარი გამოცდილება, განავითაროს თანამშრომლობა განათლების ინდუსტრიების მიმართულებით. უზრუნველყოს ქალაქის მოსახლეობის ჩართულობა და მოახდინოს განათლების ინტეგრირება ურბანული განვითარების გეგმაში, გააფართოვოს შესაძლებლობები განათლების სექტორში დასაქმებული პირებისთვის.

დასუფთავების აქცია

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გარემოსდაცვითი კამპანიის ,,დაასუფთავე შენი ქალაქი'' ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა სათათბირო ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივით, დასუფთავების აქცია მოეწყო. დასუფთავდა სადგური ,,სენაკი" სარკინიგზო ხაზი და მის გასწვრივ არსებული ლოკაციები. დასუფთავების აქციას, მერის მრჩეველთა სათათბირო ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან ერთად, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი და სამსახურის სპეციალისტი - კულტურისა და ახალგაზრდული მიმართულებით, გვანცა მალანია შეუერთდნენ.

აქციის მიზანია, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა, მწვანე და სუფთა გარემოს შენარჩუნების საქმეში, თითოეული მოქალაქის მოკრძალებული წვლილის შეტანა.

გამარჯვება მიულოცეს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის ძიუდოს და სამბოს მწვრთნელ-მასწავლებელს, ვეტერან სპორტსმენს, ელგუჯა გვასალიას შეხვდნენ და ევროპის თასზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცეს. მიმდინარე წლის მაისის თვეში, ქალაქ თბილისში გამართულ ტურნირზე, ელგუჯა გვასალია, ევროპის თასის ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. სენაკელი ფალავანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, 6 ივნისს, ბოსნიაში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. ვეტერან სპორტსმენს, ელგუჯა გვასალიას, ძიუდოში ასევე არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული: არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო და ევროპის ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში. წარმატებები, სენაკელ ფალავანს, ელგუჯა გვასალიას!

მუნიციპალიტეტის მერიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის
და ინფორმაციული
უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

* * *

2024 წლის 27 მაისს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლის" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლის" დირექტორი კესარია ვახანია. კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლის" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა დადებითად შეფასდა.

* * *

2024 წლის 28 მაისს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე. მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაია გვასალია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის განყოფილებისა და მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული მუშაობა დადებითად შეფასდა.

* * *

2024 წლის 29 მაისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო რვა საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

5. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა.

6. ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს მიერ 2023 წელს სასაფლაოების განყოფილების მოვლა-პატრონობის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

7. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონებ ბის მართვის სამსახურის მიერ სენაკის მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

8. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა წურწუმია

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის ,,არტ სამყარო"-ს დასკვნითი ნაწილის ფარგლებში, ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბის გარეთა სივრცეში, გაიმართა ღონისძიება ,,ბავშვები ჩვენი მომავალია". ხელმძღვანელი - ვენერა ხახუბია. დღე მრავალფეროვანი აქტივობებით იყო დატვირთული: მოეწყო ბავშვების მიერ შექმნილი თექის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა; გაიმართა შეჯიბრი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ; ძველი სენაკის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრებით იყო გაფორმებული;

ბავშვები და მოზრდილები აქტიურად ჩაერთვნენ გამართულ გასართობ პროგრამაში;

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე, ლევან ჯინორია, თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, საკრებულოს წევრი, მარინე ნანეიშვილი, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნათია ეჯიბია, თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი
სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

დაბადებიდან-150

ჩვენი შალვა დადიანი



მე-19 და მე-20 საუკუნის მწერლობა და თეატრი იყო ეროვნული ცნობიერების შენახვისა და გამოვლინების, გაცოცხლებისა და აზროვნების უმთავრესი საშუალებანი. სწორედ ხელოვნებისა და ერის ცხოვრების ამ ორ უმნიშვნელოვანეს დარგში მიუძღვის შალვა დადიანს დიდი დამსახურება. აი, რას ამბობს თავად ერთ-ერთ რადიო გამოსვლაში - ჩემს ცხოვრებაში მეგობრებო, რაიმე უცნაური თუ ხდება, თუ რაიმეს წარმოვადგენ, ჩემი წარსულის დამსახურებაა... აუცილებლად სასარგებლო უნდა ვყოფილიყავი. ჩემს ოჯახს ჰქონდა უფლება წინა რიგებში დგომისა. მისი ხარისხი, თავადობისა და დადიანობისა, თავის დროზე იყო გამორჩეული, ამიტომ გასაკვირი არ არის რაც ვარ, არამედ უკეთესი რომ არ ვარ...

შალვა დადიანის მამა, დიდი ნიკო დადიანი გახლდათ გამორჩეული საზოგადო მოღვაწე. სამოციანელთა თანამედროვე და ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე. არჩეული იყო "ვეფხისტყაოსნის " ტექსტის დამდგენი კომისიის წევრად. აქტიურად იბრძოდა ქართული ენის დასაცავად, რუსული აგრესიის წინააღმდეგ. იყო ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. სამეგრელოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით დაწყებითი სკოლის გახსნის ინიციატორი და მონაწილე. ათობით ლექსის ავტორი. ქველმოქმედმა და მონარქიის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლმა შალვა დადიანმა სახლში მიიღო პირველადი განათლება მამის ხელმძღვანელობით. ადრეული ჭაბუკობიდან გაიტაცა პროგრესულმა იდეებმა. იყო გამგრძელებელი, როგორც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის, ასევე ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას და ლადო მესხიშვილის მოღვაწეობისა.

მიმდინარე წლის 21 მაისს, დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა საქართველოს სახალხო არტისტს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარეს, თეატრალურ მოღვაწეს. მსახიობს, მწერალს, სცენარისტს, უმდიდრესი შემოქმედებითი მონაგარის მქონე მოღვაწეს, მთაწმინდის პანთეონის ,,ბინადარს ", შალვა დადიანს.

აი, რას წერს კონსტანტინე გამსახურდია შალვა დადიანზე. ,,შალვა დადიანის შეურყეველ ბუნებას ახლოსაც არ გაჰკარებია ზოგიერთი ხელოვანისათვის დამახასიათებელი ეგოცენტრიზმი, საკუთარი სახელის განდიდებისათვის გააფთრებული ბრძოლის ჟინი, რომელსაც თან მიჰყვება ხოლმე თანამოკალმეთა ზურგს უკან გაქირდვა და ლიტერატურული ოინბაზობა.

ინგლისურ "ჯენტლმენზე" უფრო ხელმარჯვე სიტყვა გვაქვს ქართულად "დარბაისელი".

ჩვენს ხელოვნებაში მოჭირნახულე ახალი თაობები ბევრ რამეს ისწავლიან შალვა დადიანის მწერლური და არტისტული შემოქმედების სფეროდან, მისი დარბაისლობა და კაიკაცობა მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს მათთვის.

ისევე, როგორც დიდ ილიას, შალვა დადიანსაც ბევრი დრო და ენერგია წაართვა თეატრმა და საზოგადო მოღვაწეობამ, მიუხედავად ამისა, მან შესძლო მოეხვეჭა ქართული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატის სახელი....

....შალვა დადიანი თვით ძველ დროში განირჩეოდა თავისი ჰუმანიზმით, პროგრესულობით, ახალ ეპოქაში იგი დაუღალავად ემსახურებოდა ხალხთა შეძმობის დიდ იდეას, ამიტომაც უჩვეულო პატივისცემა დაიმსახურა მან მთელი საბჭოეთის ერების გულში."

ადრეული სიჭაბუკის წლებში გაიტაცა იგი ეპოქის პროგრესულმა სოციალურმა და პატრიოტულმა იდეებმა. ამ იდეებით არის გამსჭვალული მისი ლექსების პირველი კრებული "ნაპერწკალი" (1892) და პროზაული მინიატურები. 1893 წლიდან მან მსახიობობა დაიწყო და შემდგომში ვ. ალექსი-მესხიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გახდა ქუთაისის თეატრში. 1908 წელს ჩამოაყალიბა "მოძრავი დასი", რომელიც რევოლუციური შინაარსის სპექტაკლებს დგამდა. 1917 წელს დაასრულა პიესა "გუშინდელნი", რომელშიც ბაქოს ქართული დასის მსახიობებმა ითამაშეს.

შ. დადიანი არსებითად ქართულ დრამატურგიაში კომედიური ჟანრის ფუძემდებელია. მის კომედიაში ,,კაკალ გულში" (1928) მხილებულია შემორჩენილი ბიუროკრატიზმის, მლიქვნელობისა და თვალთმაქცობის გადმონაშთები. დრამატურგიაში ტრაგედიის ჟანრის აღორძინების ერთ-ერთი პირველი ცდა იყო დადიანის პიესა "თეთნულდი" (1931), რომელშიც ავტორმა ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ახალი სამყაროს გარდაუვალი გამარჯვება დაგვიხატა.

შალვა დადიანი ავტორია ისტორიული რომანისა "გიორგი რუსი" (1916-1926), რომელშიც ასახულია XII-XIII საუკუნეების საქართველო. მას დაწერილი აქვს მრავალი მოთხრობა, ნოველა, პუბლიცისტური წერილები; თარგმნა შექსპირის, შილერის, ბაირონის, ჰაუპტმანის, ლ. ანდრეევისა და სხვათა პიესები; აღსანიშნავია მისი რეჟისორული მოღვაწეობა; მის პიესებს დღემდე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული თეატრის რეპერტუარში; 1937 წელს დაწერა - ისტორიულ-რევოლიციურ დრამა "ნაპერწკლიდან"; ავტორია რომანისა "გვირგვილიანების ოჯახი" (1954) და მოგონებათა წიგნისა "რაც გამახსენდა" (1959);

წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს.

შალვა დადიანის 80 წლის იუბილე დიდი ზეიმით აღინიშნა მის მშობლიურ სენაკში. მწერლებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა მოინახულეს თავის დროის გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, შალვას მამის, დიდი ნიკოს საფლავი სოფ. ბერთემში და პატივი მიაგეს მას.

ერთ-ერთმა პოეტმა ასე შეამკო ეს ეპიზოდი.

„მხოლოდ შალვა დადიანს,
შვენის ეტლით იაროს,
ბერთემიდან მოვდივართ,
ვტოვებთ სადადიანოს“.

ქვეყნისათვის თავდადებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მას შთამომავლობამ სასუფეველი მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა.

ღირსეული ქართველი მოღვაწის სახელს ატარებს ქუჩები თბილისში, ზუგდიდში, სენაკში, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის თეატრი.

ბორის დავითაია, სენაკის საპატიო მოქალაქე, აკაკი წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პრემიების ლაურეატი

შალვაობა ბერთემში

5 ივნისს, უკვე მეოთხედ მიაგეს თანასოფლელებმა პატივი ღვაწლმოსილ წინაპრებს: ნიკო დადიანსა და მის ღირსეულ შვილს, შალვა დადიანს.

ამ უკანასკნელს, დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო საღამო მიყავდა ლეძაძამის საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ გიორგი ხურციელავას..

ბუნების წიაღში, მოდუდუნე ტეხურისა და ორასწლოვანი ყანამ დააფასა ნიკო და შალვა დადიანები.

საღამოს ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნათია ეჯიბია, კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გურანდა შამათავა, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორის მოადგილე

ცაცხვის კორომთა შრიალში, სოფლის ახალგაზრდობამ და მოწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს შალვას მოგუგუნე ხმა, რადიო გადაცემისთვის მიცემული ინტერვიუდან. ახლობლებმა და დამსწრე საზოგადოებამ გაიხსენეს დადიანთა დიდებული ოჯახის წარსული, შემოქმედება და ღვაწლი, რომ ლიტერატურის, თეატრისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის შ. დადიანს შთამომავლობამ სასუფეველი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა.

გაიხსენეს საქართველოს პატრიარქის, ღირსეული ერის მამის, წამებული ამბროსი ხელაიას სიტყვები: ,,საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება, ეძებოს იდეალი, თავისი წინაპრების ცხოვრებაში"-.

მოგონებებით გამთბარი საღამო იყო იმის დემონსტრირება, ახალგაზრდებს შეეგრძნოთ, რომ ქვეყნისთვის ღწვა, კეთილი და ღირსეული საქმისთვის თავდადება მუდამ იწვევს საზოგადოებისაგან სათანადო დაფასებასა და აღიარებს. ისევე , როგორც სოფელმა და ქველაშა გრიგოლია, კულტურის ცენტრის წარმომადგენლები: ხათუნა შულაია, სოფიკო გარუჩავა, ჯეირან ყურაშვილი, გიორგი კორშია, დათო მურღულია.

სიტყვებით გამოვიდნენ: მწერალი, სენაკის საპატიო მოქალაქე, აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პრემიების ლაურეატი ბორის დავითაია. დადიანთა შთამომავალი ნატო დადიანი. სენაკის საპატიო მოქალაქე, ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი, დამირ კუჭავა. სენაკის საპატიო მოქალაქე, მერის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ექიმი, პაატა ქურდოვანიძე, ლეძაძამის სკოლის პედაგოგი ტრისტან ბაღათურია, ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის პედაგოგი, თეონა ჯოჯუა.

საღამოზე ისმოდა ხმატკბილი სიმღერები ანსამბლ "ეგრისის" შესრულებით. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ცეკვები.

ბოლოს, ჩატარდა სპორტული აქტივობები: ზემო ფოცხოს, უშაფათის, ქვემო ფოცხოსა და ლეძაძამის სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

აზა გარუჩავა

ნოდარ ჯალაღონია-90

„ვეძებ ბავშვობის ქალაქს”

90 წელი შესრულდა ცნობილი პოეტის და პუბლიცისტის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, მრავალი ჯილდოსა და სიგელის მფლობელის, სენაკისა და ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქის ნოდარ ჯალაღონიას დაბადებიდან.

მკითხველთან, ხალხთან და სამშობლოსთან დგომა და მოქმედება იყო მისი ცხოვრების საზრისი. ნოდარ ჯალაღონია მოსწავლეობიდან თანამშრომლობდა გაზეთ ,,ავანგარდთან" და არც შემდგომ წლებში შეუწყვეტია რედაქციასთან თანამშრომლობა.

გაზეთ „კოლხეთთან" თანამშრომლობს ნოდარ ჯალაღონიას მეუღლე, ქალბატონი მანანა შალიკიანი, ამჯერადაც ბატონ ნოდარ ჯალაღონიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები ქალბატონმა მანანამ მოგვაწოდა. იგი ყველაფერს აკეთებს მეუღლის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი შემოქმედების პოპულარიზაციისათვის.

ბატონმა ნოდარმა თავისი ცხოვრება უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას მიუძღვნა. იყო პრინციპული და ვაჟკაცური.

მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ:

„თუმცა კრწანისზე არ მიბრძოლია,
და არც ყივჩაღთან მქონდა შეხვედრა,
მაგრამ არც ისე არ მიცხოვრია,
შემრცხვეს ვინმესთვის
თვალში შეხედვა”.

მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობოდა სენაკს და სენაკელებს:

„დავდივარ, ვეძებ ბავშვობის ქალაქს,
გული საგულეს ვერ ძლებს.
ვეძებ ძველ ქუჩებს,
მოედნებს, სახლებს,
ნაცნობ სახეებს ვეძებ”.

* * *

არ მასვენებს საქართველოს
სალოცავი –
რუსთაველის საფლავი და
ის პირველი შოთას „ვეფხისტყაოსანი“.
ჩვენი სიბრძნის სარწყავი და
მტრების ჯავრი
სად წავიდა?!
არ მასვენებს თამარ მეფის უნახავი
გიშრისფერი ნაწნავები,
არ მასვენებს ქეთევანის ცხელი გული,
ალავერდში დამარხული,
ისპაჰანში ნაწამები.

1953

ყველა ქართველი პოეტის ლექსი

ყველა ქართველი პოეტის ლექსი
უნდა თავის ხალხს,
სამშობლოს ჰგავდეს
და ქართველ პოეტს უპირველესად
უნდა ქართველი მკითხველი ჰყავდეს.
ქართული ლექსის სულს და მშვენებას
ველარ ჩასწვდება უცხოთა თვალი,
თუ არ იქნება ქართული ენით,
ქართული სიტყვით
ბოლომდე მთვრალი.
თუ ქართულ ლექსში არ იჩხრიალებს
ქართული სისხლი, ქართული გენი,
ისეთ ლექსებს და ისეთ პოეტებს
არ უწერიათ გზა გადარჩენის.
ვერავინ შეცვლის ამ ქვეყანაზე
განგებისა და ბუნების სურვილს,
უცხო ენით და უცხო ლექსებით
არ ითარგმნება პოეტის სული.
ყველა ქართველი,
მკვდარიც, ცოცხალიც,
ხომ უნდა თავის მამულში ცხონდეს
და ქართველ პოეტს უპირველესად
უნდა თავისი სამშობლო ჰქონდეს.
უსაქართველოდ ქართული ლექსი,
ქართული სიტყვა კვდება და ქრება
და სჯობს სამშობლოს ერთი ღიმილი
უცხოთა ათას ხოტბას და ქებას.

(გაგრძელება მეხუთე გვერდზე)

ნოდარ ჯალაღონია - 90

ეროვნული იდეალებისადმი ერთგულებით

ნოდარ დომენტის-ძე ჯალაღონია დაიბადა 1934 წლის 16 ივნისს ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ ხაბუმეში. დედა – ქიონია სამსონის ასული ფიფია-ჯალაღონია, მამა – დომენტი მანჩას-ძე ჯალაღონია. ყავდა და – ნორა ქუჩულორია-ჯიქია, ძმები – ღუღუნი და ალიკო ჯალაღონიები.

ნოდარის მშობლები 1941 წელს საცხოვრებლად გადასულან ქ. ცხაკაიაში (ამჟამად – სენაკი) და ნოდარსაც 1952 წელს დაუმთავრებია ქალაქის I საშუალო სკოლა. მოსწავლეობის პერიოდში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჰუმანიტარული საგნების – ლიტერატურისა და ისტორიის მიმართ. საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით XX საუკუნის ისტორიული პერიპეტიების კარგად ცოდნის გამო, თანაკლასელებს ხუმრობით „კერენსკი“ შეურქმევიათ.

მოსწავლეობის პერიოდშივე, რაიონის გაზეთ „ავანგარდში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. მშობლიური გაზეთის რედაქციასთან თანამშრომლობა არც შემდეგ შეუწყვეტია.

იმავე პერიოდში მონაწილეობდა ქალაქის რაიონული და საბავშვო ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ კონფერენციებსა და საღამოებში.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე – 1952 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ყველა საგანში მიიღო უმაღლესი შეფასება, მაგრამ ჩარიცხვით ვერ ჩაირიცხა – „უმაღლესი შეფასების მქონე აბიტურიენტებისთვის გამოყოფილი ადგილების შევსების გამო“. ასეთი იყო უნივერსიტეტის პასუხი.

სასწავლო წელი რომ არ გაეცდინა და მიღებული ქულებიც არ დაეკარგა, „კეთილმოსურნეთა“ რჩევით, ჩაირიცხა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, უმაღლესი ქულებიანი აბიტურიენტებისათვის უნივერსიტეტმა მიიღო დამატებითი ადგილები, მაგრამ ნოდარს, იმის გამო, რომ უკვე სხვაგან ჩაირიცხა, უარი უთხრეს.

ასე აღმოჩნდა რუსულენოვან ინსტიტუტში ქართულ ენაზე შეყვარებული, უნივერსიტეტში განათლების მიღებაზე მეოცნებე ყმაწვილი ინსტიტუტის რუსულენოვან ფაკულტეტზე.

წვალებითა და გულისტკივილით ჩაამთავრა სწავლების ორი წელი და 1955 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ისტორიის ფაკულტეტზე.

ბათუმის ინსტიტუტი თბილისის უნივერსიტეტს ვერ შეედრებოდა, მაგრამ ნოდარს გაუმართლა, შესანიშნავი ლექტორები უკითხავდნენ – ნელი დუმბაძე (ლადო ასათიანის უახლოესი მეგობარი და თანაკურსელი), ალ. ჩავლეიშვილი, იური სიხარულიძე. ნოდარის ჯგუფელები იყვნენ შემდგომში ცნობილი პოეტები – ზურაბ გორგილაძე და რეზო ართილაყვა, რომლებთანაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა, იმ პერიოდში სწავლობდა გული სალუქვაძე – პოეტი, შემდგომში პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი, იური ბიბილეიშვილი და სხვები.

სტუდენტობის წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმის ლიტერატურულ ცხოვრებაში. სტუდენტობის წლებშივე გამოვიდა ნოდარ ჯალაღონიას ლექსების პირველი კრებული – „სიმღერის გაზაფხული“ („სახელგამი“, 1959 წ. ბათუმი). იმ წლებშივე, პირველად ქართულ პოეზიაში, ნოდარ ჯალაღონიას ლექსების – „დეკემბერი სარფს მიღმა“ და „გემი „საქართველო“ სტამბოლში“ მეშვეობით გამოჩნდა ე.წ. „თურქეთის საქართველოს“ ქართველთა სახეები (ცხაკაიას გაზეთი „ავანგარდი“, №151, 20 დეკემბერი, 1955 წ. და გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №125, 22 ოქტომბერი, 1957 წ.). ეს ლექსები შეტანილია მის პირველ კრებულში – „სიმღერის გაზაფხული“.

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლები ფრიად მღელვარე წლები იყო, განსაკუთრებით საქართველოში. სტალინის გარდაცვალება, ნ. ხრუშჩოვი სახელმწიფოს სათავეში და მის მიერ სრულიად მიუღებელი მეთოდებით ბრძოლა ე.წ. „პიროვნების კულტისა“ და, შეიძლება ითქვას, საქართველოს წინააღმდეგ. ყოველივე ამას, საქართველოს ახალგაზრდობის (და არა

მარტო ახალგაზრდობის) მძლავრი პროტესტი მოყვა. მათ სჯეროდათ, რომ სტალინის დაცვით იცავდნენ საქართველოს ღირსებას, იცავდნენ სამამულო ომში დაღუპულ სამასიათასზე მეტ ქართველს, საქართველოს მომავალს. საპროტესტო მიტინგებში ნოდარ ჯალაღონიაც აქტიურად მონაწილეობდა.

ახალგაზრდობის პროტესტი თბილისში 1956 წლის 9 მარტს მიტინგის დახვრეტით დასრულდა. ნ. ჯალაღონია დახვრეტასა და დაპატიმრებას კი გადაურჩა, მაგრამ მოექცა სუკის მეთვალყურეობის ქვეშ.

ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივად გაგრძელდა, მაგრამ ამ ამბებმა თავისი კვალი დატოვა – ადამიანებმა სულ სხვა თვალით დაინახეს საბჭოთა სახელმწიფოს სახე, მორალურად ეს წლები ახალგაზრდობისთვის იყო მძიმე. ნოდარსაც თითქოს არაფერი შეხებია ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ერთ დღეს მისმა სენაკელმა მეზობელმა, იურისტმა, რომელიც იმხანად ბათუმში მუშაობდა, შესთავაზა მასთან სასტუმროში წასვლა. მასპინძელს კარი გაუღია, ნოდარი შიგ შეუშვია, თვითონ კარი გამოუხურავს, გარეთ დარჩენილა.

შემდეგში, ნოდარი ასე იხსენებდა ამ ამბავს: „ოთახში შესული სახტად დავრჩი – ოთახში ორი სამოქალაქო ტანსაცმლიანი და ერთიც რუსი გენერალი იჯდა. მივხვდი, რასაც ნიშნავდა ჩემი შემოპატიჟება.

გენერალმა მკითხა: – „სარეველა“ თუ წაიკითხე და მასზე რა აზრისა ხარო?“

იმ ხანებში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ვრცელი სტატია სათაურით – „სარეველა“, სადაც ჯერ კიდევ მოსწავლეები – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ხულიგნებად, საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებებად, ე.წ. სარეველებად იყვნენ წარმოდგენილი. ცხადი იყო, გენერლის კითხვა ამ სტატიას ეხებოდა.

– „როგორ არ ვიცი, კანდელაკის პიესაა-მეთქი“ – ვუპასუხე. (მართლაც იყო ასეთი პიესა)

– „Он дурак, ничего не читает“ – ჩაილაპარაკა გენერალმა.

– „რომ ნახო საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო პროკლამაციები, თუ გაგვაგებინებ და თუ მოიტან ჩვენთანო“.

– „არა, თქვენ არ მოგიტანთ, პარტორგანიზაციის მდივანს მივუტან“-მეთქი, ვუპასუხე.

– „Он дурак“-ო – ორჯერ „გამადურაკა“ გენერალმა და მანიშნა გავსულიყავიო.

ეს ამბავი ნოდარისთვის ორმაგი სტრესი იყო.

პირველი – აშკარა იყო სუკის ზედამხედველობა და მეორე, არანაკლებ სამწუხარო – ახლობლისგან ღალატი. ნოდარს ესმოდა, რომ მისი მეზობელი სამსახურეობრივ მოვალეობას ვერ გაექცეოდა, „მეც ვერსად გავიქცეოდი, მაგრამ შეეძლო გავეფრთხილებინე და მორალურად უფრო მომზადებული ვიქნებოდიო“.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა 1960 წელს და იმ წელსვე მუშაობა დაიწყო ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ მუშაკად, პარალელურად განაგრძობდა შემოქმედებით ცხოვრებას.

1962 წელს ბათუმშივე უნდა გამოსულიყო ნოდარ ჯალაღონიას ლექსების მეორე კრებული, რომელიც დასაბეჭდად მიღებული ჰქონდა გამომცემლობას. მოულოდნელად გამოიძახეს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტში, პროპაგანდის განყოფილების უფროსმა უთხრა, უფრო სწორად მოთხოვა, რომ ორი კვირის ვადაში დაეწერა სკკპ

სენაკი 1971 წელი

XX ყრილობის დადგენილების საქებარი ლექსი. ასეთი ლექსის დაწერა არც უფიქრია.

ორი კვირის შემდეგ დაიბარა გამომცემლობის უფროსმა – კაპიტონ რუსიძემ, უჩვენა მისი ლექსების რედაქტირებული კრებული და გამომცემლობის სპეციალური ბლანკი, შევსებული და რედაქტორის ხელმოწერა – რეზოლუცია დაბეჭდვაზე.

– „ყველაფერი მზადაა, ხვალვე ჩავუშვებ სტამბაში, მხოლოდ იმ პირობით, თუ XX ყრილობაზე ლექსს წარუმძღვარებო“.

– „პარტმუშაკისგან ასეთი წინადადება არ გამკვირვებია, მაგრამ თქვენ, მწერალი ამას როგორ მთავაზობთ. შეკვეთით ლექსი არასოდეს დამიწერია და არც დავწერ, მით უმეტეს, იმის საწინააღმდეგოს, რასაც ასე მგზნებარედ ვიცავდი“-ო, უთქვამს ნოდარს.

– „მაშინ შენ ამ გამომცემლობაში წიგნის დაბეჭდვას ვერ ეღირსებიო“ და რეზოლუციანი ბლანკი გადაუხევია.

ნოდარს ის ბლანკი ხელიდან გამოუგლეჯია – „მიმიფურთხებია შენი დაბეჭდილისთვისო“ და კაბინეტიდან გამოვარდნილა. (ეს გადახეული ბლანკი ნოდარის არქივშია).

ახალგაზრდობა სიფიცხეცაა, რაც ნოდარს, სამწუხაროდ, არ აკლდა და იმ ცხელ გულზე წერს ლექსს – „პარტიის ნებით, პარტიის ძალით“, მიძღვნილს საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობისადმი, რომელიც იმ დღეებში ტარდებოდა.

ლექსის აქტუალური თემატიკის გამო, გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ სასწრაფოდ დაბეჭდა 1961 წლის 30 იანვრის ნომერში, №21.

ლექსი პარტიასა და კომკავშირს კი აქებდა, მაგრამ აკროსტიხი იყო და სტრიქონების პირველი ასოებით გამოდიოდა: „კაპიტონ რუსაძე კრეტინი“. ეს კი უკვე არა პიროვნების, არამედ პარტიის შეურაცხყოფა იყო.

სახელდახელოდ მოწვეულმა ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ეს საკითხი, ნოდარ ჯალაღონიას გამოეცხადა საყვედური, განთავისუფლდა სამსახურიდან ბათუმში და სამუშაოდ გაამწესა სოფელ სარფში. ეს, ფაქტობრივად, გადასახლება იყო, რადგანაც საზღვრისპირა სარფში შესვლა და გამოსვლა სპეციალური, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაშვებული საშვით იყო შესაძლებელი.

ნოდარი მეორე დღესვე, დილით ამოეწერა ბათუმიდან და დატოვა ქალაქი. რადგან ბათუმის პარტიის ქალაქკომის დადგენილება მხოლოდ აჭარის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა, ზემდგომმა პირებმაც, როგორც ჩანს, „თვალი დახუჭეს“ და ნოდარიც გადაურჩა სარფში გადასახლებას.

ახალგაზრდა შემოქმედი უმუშევარი, უფულო, უბინაო ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ მისთვის დახურული აღმოჩნდა ყველა გამომცემლობისა და გაზეთის კარი. ორი წელი გაგრძელდა ეს სასონარკვეთილი მდგომარეობა. „ამ კოშმარს კონსტანტინე გამსახურდიასა და იოსებ ნონეშვილის წყალობით დავაღწიე თავიო“, ამბობდა ნოდარი. ბატონმა იოსებ ნონეშვილმა მწერალთა კავშირში ერთ-ერთ პოეზიის საღამოზე წაიკითხა ლექსი – „ყვავილების მიწა“.

ამოუცნობია ადამიანის და, მით უმეტეს, შემოქმედის გონი. სწორედ იმ მძიმე წლებში დაწერა ნოდარ ჯალაღონიამ მისი ერთ-ერთი გამორჩეული და, როგორც შემდგომმა წლებმა გვიჩვენა, გარკვეულწილად წინასწარმეტყველური ლექსი – „ყვავილების მიწა“.

„ლექსს, ფაქტიურად, კონსტანტინე გამსახურდიას ვუკითხავდიო“ – ამბობდა შემდგომში. ლექსმა დიდი მოწონება და შესაბამისი ტაშიც დაიმსახურა. განსაკუთრებული აღტაცება გამოუხატავს ბატონ კონსტანტინეს, ფეხზე წამომდგარა – „აი, ეს არის პოეზიაო“, ასე გამოუხატია თავისი აზრი.

საღამოს დამთავრების შემდეგ, ირ. აბაშიძის თაოსნობით, სათითაოდ მიულოცნიათ ნოდარისთვის წარმატება.

კონსტანტინე გამსახურდიას თავისკენ უხმია ნოდარი, დაინტერესებულა, რატომ არ ბეჭდავდა სადმე, კერძოდ, „მნათობში“.

– „არ მიბეჭდავენო“ – მიუგია ნოდარს.

– „აბა, რას ბეჭდავს ისო“ – უხეშად მოუხსენებია რედაქტორი. ბატონმა კონსტანტინემ, რა თქმა უნდა, არ იცოდა არსდაბეჭდვის ნამდვილი მიზეზი.

იქვე, მწერალთა კავშირის ფოიეში მწერლებს სერგი ჭილაიას, ორდე დგებუაძეს და ... მესამე პიროვნების გვარი წლების შემდეგ ნოდარმა ვერ გაიხსენა, შეუქმნიათ კომისიის მსგავსი და გადაუწყვეტიათ ამ ლექსის გამოქვეყნება. ყველა რედაქციიდან მათაც უარი მიიღეს. მოგვიანებით ისევ იოსებ ნონეშვილმა დაუბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (1963 წ., №22).

ამ ლექსის დაბეჭდვის გამო ბატონი იოსები დაუბარებიათ სუკში, საყვედურიც უთქვამთ და დაინტერესებულან, „რომელი მიწის გაყიდვას გულისხმობს ავტორი, აფხაზეთის მიწების ხომ არაო?!“.

ბატონ იოსებს ეს არ გაუხმაურებია. ნოდარმა 10 წლის შემდეგ გაიგო სუკ-ის გადამდგარი მაიორისგან.

ის საღამო ნოდარისთვის სიცოცხლისკენ, შემოქმედებისკენ შემობრუნების თარიღად იქცა. მიიღეს მწერალთა კავშირში. 1964 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, კორესპოდენტად („მაგრამ ერთი წელი უხელფასოდ, კურიერად ვმუშაობდიო“).

1967 წელს, საქართველოს მწერალთა კავშირის წარდგინებით ჩაირიცხა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. იმავე წელს დაინიშნა საქართველოს ტელევიზიის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური რედაქციის უფროს რედაქტორად. 1971 ნლიდან 1974 წლამდე იყო საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის უფროსი რედაქტორი. 1974 ნლიდან 1993 წლის 11 აგვისტომდე – სატელევიზიო ფილმების სტუდიის რედაქტორი, შემდეგ – იმავე სტუდიის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა, ღირსეულად ასრულებდა სამუშაოს, მაგრამ ხშირად ჰქონდა კონფლიქტები ხელმძღვანელობასთან, რადგან ვერ იტანდა უსამართლობას, არც ღირსების შელახვას პატიობდა.

ამის დასტურია ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე – ნუგზარ ფოფხაძესთან კონფლიქტი, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარეს შეუთვალა – „დაესწარით პარტიულ კრებას, თქვენი მუშაობის და თანამშრომლებისადმი დამოკიდებულების სტილი უნდა გავაკრიტიკოო“.

სკკპ-ის რიგებში შევიდა 1967 წელს. როგორც შემდეგ, პარტიიდან გასვლის განცხადებაში დაწერა, პარტიაში არ შესულა კარიერისა და ქონების შესაძენად, სჯეროდა პარტიისა და ფიქრობდა, რომ სჭირდებოდათ სუფთა პიროვნებები. მაგრამ როცა დაინახა, თუ როგორ ჩაეფლო მმართველი ელიტა კორუფციისა და მექრთამეობის ჭაობში, თავისი პროტესტი გამოხატა ლექსით – „რწმენის ორდენის კავალერი“. როგორც ჩანს, მის მოსაზრებას და პროტესტს სხვებიც ეთანხმებოდნენ, მათ შორის, გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქტორიც, რადგანაც ეს ლექსი დაბეჭდა გაზეთში („კომუნისტი“, №16, 1979 წ.) და გაზეთის რედაქციის სახელით წარადგინა მწერალთა კავშირის პრემიაზე, რომელიც მიენიჭა კიდეც იმავე წელს.

ტელევიზიაში მუშაობის პარალელურად აგრძელებდა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას: შემოქმედებით მივლინებაში იყო მესხეთ-ჯავახეთში, სვანეთში, ყიზლარში – ქართველ მეცხვარეებთან, აჭარაში, ბამ-ზე – ქართველ მშენებლებთან. მისი შთაბეჭდილებები, განცდები გადმოცემულია იმ პერიოდის ლექსებსა და ნარკვევებში.

ნოდარ ჯალაღონიასთვის ლექსი არ არის ცხოვრებისგან განყენებული ცნება. ლექსი მისთვის როგორც პირადი განცდების, ასევე თავის ხალხის, თავის ქვეყნის ტკივილისა და სიხარულის გამომხატველია, იარაღია სამშობლოს დასაცავად. ამიტომაც იდგა იგი ყოველთვის თავის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შუაგულში. ასე იყო იგი თავისი ხალხის გვერდით სამეგრელოში წყალდიდობის დროს, მეწყერის – აჭარასა და სვანეთში. იმ პერიოდის ლექსებითა და საგაზეთო სტატიებით მოუწოდებდა დანარჩენ მოსახლეობას დამეწყრილი, ფუძემოშლილი ხალხის დახმარებისათ-

ეროვნული იდეალებისადმი ერთგულებით

ვის. მიუხედავად მწირი ხელფასისა, იმ წლის ჟურნალ-გაზეთებიდან აღებულ ჰონორარს მთლიანად რიცხავდა დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

აღვნიშნეთ, რომ ნ. ჯალაღონია იყო ბამ-ის მშენებლობაზე ქართველ მშენებლებთან – ნია-გრუზინსკაიაში. მისთვის მთავარი ბამ-ის მშენებლობა კი არ იყო, არამედ ის, რომ იქ, შორეულ ციმბირში ქართველებმა მთელ ტრასაზე მშენებელთა შორის უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვეს და, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დროშასავით ეჭირათ მაღლა მამულის დიდი განძი – ღირსება“.

ნ. ჯალაღონია ციმბირში მშენებლობისადმი მიძღვნილ ლექსებშიც ახერხებს საქართველოს ტკივილის ამოთქმას. იმ დროში იოლი არ იყო, საყოველთაო ქების ფონზე, ციმბირისთვის გეთქვა: „ჩემს მიწაზე წუხილად და მწუხარებად მოხველ“, ან კიდევ – „ჩვენთან მიწას დედამიწა, შენ – ჯალათი გერქვა“.

ნოდარ ჯალაღონიას ბამ-ზე ყოფნას უკავშირდება ერთი ფაქტი, რომლითაც ნათელი გახდა მწერალთა კავშირის ზოგიერთი მდივნის დამოკიდებულება ნოდარის მიმართ: ნია-გრუზინსკაიას ეწვია რუსეთის მწერალთა კავშირის მრავალრიცხოვანი დელეგაცია. ჩვეულებისამებრ, ჩატარდა ლიტერატურული საღამო. საღამოზე ლენინგრადის წარმომადგენელმა, პოეტმა ვლადიმერ ტოროპიგინმა მიმართა დამსწრე საზოგადოებას – ქართველ მწერლებს: მეც ვაპირებდი ბამ-ზე ლექსების დაწერას, მაგრამ ნოდარ ჯალაღონიას გამოსვლის შემდეგ გადავიფიქრე. ერთი-ორი დღე საკმარისი არ არის თქვენი და თქვენი საქმიანობის გასაცნობად, ბატონი ნოდარი კი უკვე ორი თვეა აქ არის, თქვენთან ერთად მუშაობს სხვადასხვა ბრიგადაში, კარგად გაგიცნოთ და დარბაზის რეაქციით ვხედები, კარგი ლექსებიც დაუწერია. პირობას გაძლევთ, ნოდარ ჯალაღონიას ამ ლექსებს გავაცნობ რუს მკითხველებსო“.

ვლადიმერ ტოროპიგინმა პირობა შეასრულა; რუსულად თარგმნა ნოდარ ჯალაღონიას ლექსების ციკლი ბამ-ზე და დაბეჭდა ჟურნალ „ავრორაში“ (№3, 1977 წ.), გამოუგზავნა და აცნობა, რომ მის საპატივცემლოდ გეგმავს ქართველ პოეტთა მიწვევას ლენინგრადში პოეზიის საღამოების ჩასატარებლად.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ნოდარმა ქართული პრესიდან გაიგო, რომ ქართველ პოეტთა დელეგაცია იყო ლენინგრადში და გაიმართა შესანიშნავი საღამოები. ვლ. ტოროპიგინის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ ნ. ჯალაღონიას სახელზე გამოგზავნილი იყო მოსაწვევი და სიტყვიერადაც – თხოვნა მის ჩასვლაზე. ლენინგრადში ჩასულ მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელს კი ვლადიმერ ტოროპიგინისთვის უთქვამს, რომ პოეტი ნოდარ ჯალაღონია ავადმყოფობის გამო ვერ წამოვიდაო.

1978 წელს მხარს უჭერს ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსს. მხარს უჭერს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობას. ამიტომაც, 1989 წლის 8 აპრილს, ახალგაზრდებთან ერთად, შიშველი ხელებით დაუდგა, უფრო სწორად – დაუწვა საბჭოთა ტანკებს. სამწუხაროდ, ეს ფაქტი მწერალმა დათო ტურაშვილმა დამახინჯებით აღწერა თავის წიგნში – „იყო და არა იყო რა...“ და ამით შეურაცხყოფა მიაყენა არა მხოლოდ პოეტს (გვარს არ ასახელებს), არამედ საერთოდ ქართველ მწერალთა უფროს თაობას, საქართველოს ეროვნულ მოძრაობას.

1989 წლის 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის უდიდესი ტრაგედია და დიდი გამოფხიზლებაც იყო.

პროტესტის ნიშნად, ნოდარ ჯალაღონიამ დატოვა სკკ პარტიის რიგები, სათანადო განცხადებით მიმართა საქართველოს რადიოტელევიზიის პარტიული კომიტეტის მდივანს.

ნოდარ ჯალაღონია მხარს უჭერდა ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას, გმობდა ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების დამხობას. ამიტომაც 1992 წელს, პროტესტის ნიშნად, სხვა მწერლებთან ერთად, მუხრან მაჭავარიანის თავკაცობით დატოვა შეიარაღებული გადატრიალების მომხრე და მხარდამჭერი მწერალთა კავშირი.

ამის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი პარტიისა თუ კავშირის წევრი, არც პოლიტიკურის, არც – საზოგადოებრივის.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ეროვნული ხელისუფლების მომხრენი ტერორის ქვეშ აღმოჩნდნენ. სხვათა მსგავსად, პოეტ ნოდარ ჯალაღონიას არ დაკლებია ლანძღვა-გინება, ფიზიკური შეურაცხყოფა, ელექტროშოკი, შეიარაღებული ხალხის მიერ (14 კაცი იყო) მუხადწყაროში სახლის ჩხრეკა და ბოლოს დაპატიმრებაც.

მაგრამ ნოდარ ჯალაღონიასაც არ შეუწყვეტია ბრძოლა – იმდროინდელი ლექსები თუ საგაზეთო სტატიები არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება სიტყვით ბრძოლა, მოწოდება თავისუფლებისათვის.

ასეთი თანამშრომელი ტელევიზიას არ აწყობდა, რამოდენიმეჯერ იყო პროვოცირების მცდელობაც და ნოდარმა დატოვა სამსახური და დარჩა შვიდლარიანი პენსიის ამარა. სამუშაო არ იყო და არც უძებნია – „მე მათი იდეოლოგიის სამსახურში არ ჩავდგებიო“. იმ პერიოდის ერთ-ერთ ლექსში წერს: „ვყიდი ყველაფერს... სამშობლოს, რწმენის, სინდისის გარდა“. გასაყიდიც ბევრი არაფერი ჰქონდა. გაყიდა ბინა, გადავიდა უფრო პატარა ბინაში; მალე იძულებული იყო ისიც გაეყიდა და ხუმრობდა – „აწი სასაფლაოს ბინაზე თუ გავცვლიო“. მიუხედავად სიდუხჭირისა, ცოტაოდენი მორჩენილი თანხით დააარსა გაზეთი „ლაშარის გორი“. გაზეთმა მხოლოდ წელიწადნახევარს იარსება, მაგრამ ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო. ხელისუფლებას დახურულ-დაპატიმრებული ჰქონდა ეროვნული გაზეთები – „თვალთაი“, „იბერია-სპექტრი“, „სამრეკლო“ და სიმართლის მთქმელი მხოლოდ „ლაშარის გორი“ იყო.

გაზეთი ნოდარ ჯალაღონიასთვის იყო საშუალება დაეცვა საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის იდეა – საქართველოს და ქართველთა გადარჩენის ერთადერთი გზა. ებრძოდა ყოველგვარ კუთხურობას, განსაკუთრებით კი – სამეგრელოს თემით სახიფათო თამაშს. ამის დასტურია გამოქვეყნებული სტატიები: „გვმართებს მეტი სიფრთხილე“, „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს“, „ნუ დავყოფთ საქართველოს კუთხეებად“, „ბრძოლა ხანგრძლივი, მქუხარე ტაშისთვის“ და სხვები.

ცნობილმა მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ლია ანდღულაძემ 2007 წელს გამოსცა მონოგრაფია – „პოეტი – მამულიშვილი-ნოდარ ჯალაღონია“.

ბატონმა კოლაუ ნადირაძემ ნოდარს აჩუქა თავისი ახალგაზრდობის დროინდელი სურათი წარწერით" - „ეს ჩემი სურათი მსურს ვაჩუქო ბრწყინვალე, შესანიშნავი ლექსების ავტორს, ჩემთვის ახლადაღმოჩენილ ჭეშმარიტ პოეტს ნოდარ ჯალაღონიას, რომელმაც ამ ლექსების წაკითხვის დღეს 1976 წლის 24 თებერვალს თანამედროვე ქართული პოეზიისადმი უკმარისობისა და სასოწარკვეთილობის გრძნობა ჩაახშო“.

ნოდარ ჯალაღონიას გამოცემული აქვს ლექსების 32 კრებული, სტატიებისა და ინტერვიუების 1 კრებული – „სინჯარის პოლიტიკოსები“. განსაკუთრებით უყვარდა „ძველი კოლხური ჰანგები“. მასზე მუშაობდა ათი წელი, დაამთავრა 1976 წელს. „ზოგი მეგრული ხალხური ლექსი მთლიანადაა გადმოქართულებული, ზოგის მხოლოდ სათაურია აღებული, ზოგის – ერთი ან ორი სტრიქონი; ვგონებ შევძელი ლექსების თემატიკის, რითმის, რიტმის შენარჩუნება, ლექსის ხასიათის გადმოცემა“, წერდა იგი.

როგორც ჩანს, ისე კარგად იყო დაწერილი, შემოედავენ: – ყველა მათგანს სრული მეგრული შესატყვისი ლექსი აქვსო. ნოდარმა თხოვა, მოენახათ და ეჩვენებინათ ის ლექსები მისთვის. რა თქმა უნდა, ვერაფერი მოიძიეს და მაშინ ერთმა ცნობილმა კრიტიკოსმა უთხრა – „შენ ალბათ, ძველი, უცნობი რვეული ჩაგივარდა ხელში და იქედან თარგმნეო“. ნოდარის გულისტკივილის გადმოცემა შეუძლებელი იყო.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ უნდა ითქვას, ნოდარმაც დაუშვა შეცდომა, რომ არ დაასახელა მთლიანად რომელი ლექსი იყო გადმოქართულებული და არ მიუთითა რომლებიდან რომელი სტრიქონი იყო აღებული. რაც შეეხება <u>თარგმანის</u> ხმარებას, აქ ნოდარი კატეგორიული იყო – „მე მეგრულიც ქართულად მიმაჩნია და „მეგრულიდან თარგმნას“ ვერ დავაწერო“.

1998-2001 წლებში ჟურნალისტიკასა და ქართულ ლიტერატურას უკითხავდა თბილისის ხარისხის მართვის ინსტიტუტის სტუდენტებს. აღნიშნულ ინსტიტუტში მიიწვია ინსტიტუტის დირექტორმა ბ-მა შალვა გუგეშაშვილმა და მისმა მოადგილემ ბ-მა ავთანდილ დავითაიამ. ამით მათ გამოხატეს დიდი პატივისცემა და ნდობა ნოდარისადმი და ამავდროულად დახმარების ხელი გაუწოდეს უმუშევარ, შემოსავლის გარეშე დარჩენილ ნოდარ ჯალაღონიას. მათი მხრიდან ეს ძალზე კეთილშობილური ჟესტი იყო.

ნოდარ ჯალაღონია შეტანილია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, ტომი XI, გვ. 533, 1987 წ. და ამას დიდ პატივად თვლიდა. მაგრამ არ არის არც ერთ ქართულ ანთოლოგიაში. ძალიან დაწყდა გული, რომ ანთოლოგიაში შეტანის ღირსად არ ცნეს და მიზეზი

ნოდარ ჯალაღონია და ფრიდონ ხალვაში

უკითხავს ანთოლოგიის შემდგენელისთვის, ბ-ნ მურმან ლებანიძისთვის: – „მეგონა, შენ ხუტა ბერულავას მომხრე იყავიო“, – უთქვამს ბატონ მურმანს.

– „ცუდს არაფერს გკადრებ, მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი პოეტი ხარ. შენს ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, სხვაგვარ პასუხს მიიღებდაო“ – უთქვამს ნოდარს.

საქმე ისაა, რომ იმხანად დიდი უთანხმოება და დაპირისპირება იყო მწერალთა კავშირის მდივან ირაკლი აბაშიძესა და პოეტ ხუტა ბერულავას შორის. როგორც ჩანს, ორთავეს თავიანთი მომხრეები და მხარდამჭერები ჰყავდათ.

ნოდარი, თუ რაიმე არ მოსწონდა, ვინმეს რაიმე ქმედება, მიუხედავად იმ პიროვნების ავტორიტეტის და თანამდებობისა, აუცილებლად პირადად, ხმამაღლა გამოხატავდა ამას. მაგრამ რაიმე ჯგუფებსა და სხვა მსგავს პერიპეტიებში არასოდეს გარეულა. მით უმეტეს, ამ ორ პიროვნებას შორის დაპირისპირებაში.

მეორე, მწერალთა კავშირის მიერ გამოცემული ანთოლოგიით კი, საერთოდ არც დაინტერესებულა. უკვე არაფერი უკვირდა...

1982 წელს მწერალთა კავშირმა დაარსა ე.წ. „მებაღეთა ამხანაგობები“. ნოდარმა ნაკვეთი (საბაღე) მიიღო მუხადწყაროში, არჩეული იყო ამ ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილედ. თავმჯდომარე ბ-ნი ამირან გაბისკირია, მასზე ასაკით უფროსი იყო და ყველა ტექნიკური საკითხის მოსაგვარებლად ის და პოეტი რეზო ართილაყვა დარბოდნენ – გზების გაყვანა, ელ.ენერგიის შემოყვანა და სხვ. როდესაც ნაკვეთები გადაუზომეს ამხანაგობის წევრებს, გაირკვა – ზოგიერთს 600 კვ. მ-ის ნაცვლად უფრო ნაკლები მიუზომეს: ოთხასი, ოთხასორმოცდაათი, ხუთასი კვ. მეტრი. ნოდარმა პროტესტი როცა გამოთქვა ხელმძღვანელობასთან – „შენ ხომ გაქვს ექვსასი კვ. მეტრი და სხვა რაში გესაქმებაო“, – რომ უთხრეს, ეგრევე დატოვა თავმჯდომარის მოადგილეობა, „ამ ბინძურ საქმეში არ გავერევიო“. რა თქმა უნდა, ამას გარკვეული კონფლიქტებიც მოჰყვა. მუხადწყაროს ნაკვეთი ძალზე შეუყვარდა. 1985 წელს, იუბილესთან დაკავშირებით, შედარებით მაღალი ჰონორარი აიღო (ვგონებ 26 ათასი მანეთი) და იქ სტანდარტული სახლი ჩადგა. ამის შემდეგ მხოლოდ მუხადწყაროში ისვენებდა გაზაფხულის ბოლოდან გვიან შემოდგომამდე. მართალია, სახლი კეთილმოწყობილი არ იყო (და ახლაც ისეა), მაინც იქ ერჩივნა. როცა გაუჭირდა, თბილისის ბინა გაყიდა – „დაახურდავა“, მუხადწყაროს ვერ შეელია. „ჩემი, ნამდვილად ჩემი ეს სახლია, კედლებიან-ჭერიანად, თბილისის ბინა – სანახევროდ. კედლები, ჭერი, იატაკი ნახევრად ჩემია, ნახევრად – მეზობლისო“, – ამბობდა. მუხადწყაროში თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, თანაც ფიზიკურადაც შრომობდა. ბავშვივით უხაროდა თავისი შრომის ნაყოფის ხილვა. ერთი მოზრდილი ვაშლის ხიდან ერთი კილოც რომ მოეკრიფა – „კარგი მოსავალიაო“ – ამბობდა. თუ რაიმე მოისხამდა, უხაროდა, მეზობლებს უნაწილებდა. „ჩემგან მებაღე ვერ შედგა, მაგრამ მე და ჩემმა მეუღლემ შევძელით ხრიოკ მიწაზე ხეხილისა და ბოსტნეულის გახარებაო“, იტყოდა ხოლმე.

2004 წელს, პოეტის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამომცემლობა „ზანმა“, ბ-ნ მურმან ზაქარაიამ გამოსცა ნ. ჯალაღონიას ლექსების „ერთტომეული“, რამაც ძალიან გაახარა.

აღნიშნულმა გამომცემლობამ, ბ-ნ გურამ აბსანძის ხელშეწყობით, საიუბილეო საღამო გაუმართა ჟურნალისტთა სახლში; მოეწყო შეხვედრები მწერალთა კავშირში, სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდობის ცენტრში.

2015 წელს, პოეტის მშობლიურმა რაიონებმა აირჩიეს საპატიო მოქალაქედ, რამაც ძალზე გაახარა.

მისი სიცოცხლის ბოლო წლების საფიქრალი საქართველო და მისი მომავალი იყო. ერთმა პოეტმა დაკნინების მიზნით როცა უთხრა: „შენ საქართველოთი ხარ ავადო“, „ღმერთმა ნუ მომარჩინოს ჩემი ქვეყნის სიყვარულისგანო“, – უპასუხა.

მისი განცდები, დარდი და მომავალზე ფიქრი არის ბოლო წლების ლექსებში განსაკუთრებულად. როგორც ჩანს, შემოქმედი უფრო ნათლად ხედავს მომავალს...

არ შეიძლება არ აღინიშნოს ნოდარ ჯალაღონიას პირდაპირობა და როცა მართალი იყო, უკომპრომისობა. როგორც არ პატიობდა არავის სამშობლოს ღალატს, ასევე არ პატიობდა ღირსების შელახვას. ამ დროს არ არსებობდა ავტორიტეტი და თანამდებობა, რომლის წინაშეც უკან დაიხევდა, მაგრამ კაცურად შეეძლო ბოდიშის მოხდაც, თუ სიმართლე მის მხარეს არ იყო. გულგატეხილი იყო თავის კოლეგებზე, მეგობრებზე, რომლებიც სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეებთან აღმოჩნდნენ და ნებსით თუ უნებლიედ, ხელი შეიწყვეს ქვეყნის ნგრევას.

როგორც ჩანს, ჩვენს მომავალს ჩვენზე უკეთ ხედავდა, უფრო სწორად, მომავალს ვერ ხედავდა, რადგან ესმოდა, რომ დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის გარეშე მომავალი არ არსებობს.

ნოდარის პრინციპულობა და მეგობრებისადმი ერთგულება გამოჩნდა ნოდარ ჯალაღონიას პატიმრობისას. ნოდარი და ტელევიზიის კიდევ ორი თანამშრომელი რომ დააპატიმრეს და ხულიგნობა წაუყენეს ბრალდებად, ეს იყო 1992 წლის ოქტომბერში.

ტელერადიოკომიტეტის მაშინდელი უფროსი არჩილ გოგელია პირადად მივიდა მილიციის საბურთალოს განყოფილებაში, სადაც იყვნენ დაპატიმრებულები. მილიციის უფროსმა – „მე განთავისუფლება არ შემიძლია, ისინი მობარებული მყავსო“ – როგორც ჩანს, შემდეგ თანხმობა ზემდგომი პიროვნებისგან მიიღო ნოდარ ჯალაღონიას განთავისუფლების შესახებ და პირადად მივიდა ნოდარის წამოსაყვანად. ფრიად კაცური და იმ დროისთვის ვაჟკაცური საქციელი იყო, „ნოდარ ჯალაღონიას დაპატიმრება არ შეიძლებაო“. მაგრამ, რადგანაც მხოლოდ ნოდარს ათავისუფლებდნენ და არა იმ ორ თანამშრომელსაც, ნოდარმა განაცხადა: „ჩვენ ერთად დაგვაპატიმრეს, ერთი და იმავე აბსურდული ბრალდებით და ერთად უნდა გაგვანთავისუფლოთო“, და რადგანაც სხვები არ გაანთავისუფლეს, თვითონაც უარი თქვა განთავისუფლებაზე.

ამის შემდეგ მალევე დატოვა ტელევიზიაც.

დაძაბულმა ცხოვრებამ კვალი დაამჩნია მის ჯანმრთელობასაც.

ავადმყოფობაზე უფრო ძნელი იყო გულგატეხილობა. თავისი განმარტოებული ცხოვრების გამო ბატონმა სოსო სიგუამ „მუხადწყაროს განდეგილი“ უწოდა. ამ სათაურით დაწერილი წერილი თავად მიუტანა ნოდარს.

ბატონმა აკაკი ბრეგაძემ თავად მიუტანა ახლად გამოცემული თავისი წიგნები, სადაც ნოდარის ლექსები იყო დაბეჭდილი და წერილიც ნოდარ ჯალაღონიას ცხოვრებაზე. ასევე ინახულეს ბატონმა ვაჟა ჩორდელმა და მისმა მეუღლემ, მიუტანეს მათ მიერ გამოშვებული ჟურნალის „იმერ-ამიერის“ რამდენიმე ნომერი, სადაც ქალბატონ იკა ქადაგიძის საუკეთესო სტატია იყო დაბეჭდილი ნოდარის წიგნზე – „სინჯარის პოლიტიკოსები“. ქალბატონი იკა თავად ეწვია პოეტს. ასევე ყურადღებას არ აკლებდნენ ქალბატონები ეთერ მგალობლიშვილი და ბელა შალვაშვილი (პოეტი, მთარგმნელი).

არც ერთი ხელისუფლებიდან არავითარი ყურადღება.

2018 წლის 16 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა პოეტი ნოდარ ჯალაღონია, საკუთარ ბინაში, თბილისში, ახლობლებით გარემოცული.

დაკრძალულია თბილისში, ვაშლიჯვარის სასაფლაოზე.

ოჯახს ხელისუფლებისთვის არ უთხოვია პანთეონში დაკრძალვა. ეს მისმა თაყვანისმცემლებმა, მისი ლექსებისა და ცხოვრების დამფასებლებმა მიმართეს თურმე შესაბამის სამსახურებს, მაგრამ უარი მიუღიათ.

ნოდარ ჯალაღონია იყო პოეტი ჯარისკაცი, პოეტი მემატიანე, რომელიც სიკვდილის შემდეგაც იბრძვის თავისი შემოქმედებით ქვეყნის უსამართლობისაგან გამოსახსნელად, მისი უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

მოამზადა
მანანა შალიკიანი-ჯალაღონიამ

დაბადებიდან-75

მომავლის შექმნაში გალეული წლები



არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრების წესით ღრმა კვალს ტოვებენ სზოგადოების ცხოვრებაში. პატიოსანი, ალალმართალი კაცის ცხოვრებით და სენაკზე უზომოდ შეყვარებული დააბიჯებს ქალაქის ქუჩებში, ეძიებს, კითხულობს, სიკეთეს თესავს, ახალგაზრდებს უნერგავს რწმენას იმისა, რომ ძლიერ, გამთლინებულ საქართველოში იცხოვრებენ.

იზარდი წოწონავა მატერიალურ დოვლათზე მეტად სულიერს ანიჭებსუპირატესობას. იღწვის, ქმნის ოჯახისათვის, საზოგადოებისათვის. მისი სულიერი სიმტკიცის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ საკუთარივით შეუძლია მეზობლის, მეგობრის, ახლობლის ჭირისა თუ ლხინის გათავისება.

იზარდი წოწონავას 1 ივლისს 75 წელი უსრულდება. მრავალმხრივი და მრვალფეროვანია მისი ბიოგრაფია.

დაიბადა ცხაკაიას რაიონის სოფელ გეჯეთში. დაამთავრა გეჯეთის 8 წლიანი სკოლა. შემდეგ მუშობა დაიწყო გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციის მუშად, პარლელურად სწავლა გააგრძელა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს ცვლის საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1967 წელს, 1969 წელს გადაყვანილ იქნა მეურნეობის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტად. იყო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, კომკავშირის რაიკომის და ბიუროს წევრი, სქართველოს კომკავშირის 29ე და 30-ე ყრილობის დელეგატი, გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტის" კორესპონდენტი, 1974 წელს არჩეულ იქნა მეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის გათავისუფლებულ თავმჯდომარედ.

1975 წელს ჩაირიცხა ქ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა 1979 წელს, პარალელურად სწავლობდა საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა წარჩინებული სწავლითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით, იყო სტუდენტთა საინსტიტუტო, საქალაქო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების გამარჯვებული. კომკავშირის კურს-ბიუროს მდივანი, ინსტიტუტის კომკავშირული პროჟექტორის შტაბის თავმჯდომარე და რაიკომის უფლების მქონე კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოდგილე. თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნში მომუშავე სტუდენტთა სამშენებლო რაზმის კომისარი, გარდამავალი დროშისა და საკავშირო დიპლომის მფლობელი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მოსწვლე-ახალგაზრდობის განყოფილების ინსტრუქტორად.

1979 წლის სექტემბერში ბრუნდება მშობლიურ რაიონში და მუშაობას იწყებს ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლად. იმავე წელს ირჩევენ ცხაკაიას რაიონის ნოსირის დაფნის სახელმწიფო მეურნეობის პარტიული კომიტეტის გათავისუფლებულ მდივნად.

1980 წელს გადაყავთ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, 1981 წელს დააწინაურეს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ და პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგედ. იყო პარტიის რაიკომის წევრი, რაიკომის აპარატის პარტბიუროს მდივანი.

1988-1991 წლებში მუშაობდა პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ. არჩეული იყო რაიკომის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1991 წელს სამუშაოდ გადადის სენაკის №139 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ სასწვლო-საწარმოო დარგში. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება.

1994-1996 წლებში იყო თავის მშობლიური სოფლის გეჯეთის ჩაის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი.

1996-2004 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრის საპარლამენტო ბიუროს თავმჯდომარე, საინჟინრო -ეკონომიკური ინსტიტუტის სენაკის ფილიალის უფროსი მასწავლებელი. სააქართველოს წითელი ჯვრის საინფორმაციო სამსახურის უფროსი და პროგრამის კოორდინატორი.

1999-2002 წლებში არჩეული იყო რაიონული საკრებულოს წევრად და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. არის საზოგადოება " სენაკელის" პრეზიდიუმის წევრი.

2003 წელს წარმოებისგან მოუწყვეტლად დაამთავრა საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობით.

2004-2010 წლებში არჩეული იყო ს.ს. "არქეოპოლისის " სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და თავმჯდომრის მოადგილედ.

2010 წლის ნოემბრიდან მუშაობდა ამავე კომპანიაში დირექტორის მოადგილედ კადრების დარგში. წლების განმავლობაში არჩეული იყო საწარმოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ.

მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა ს.ს. "არქეოპოლისის " მიერ განხორციელებულ ფართომასშტაბიან საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ საქმიანობაში.

იზარდი წოწონავას ბიოგრაფია ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტის და რეგიონის ცხოვრებაში არ დარჩენილა დარგი, სადაც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას. ქართული ტრდიციული ოჯხის თავკაცმა მეუღლესთან, სენაკის პედგოგიური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთან, სახალხო განათლების წარჩინებულთან, წამყვან მასწავლებელთან, ქალბატონ მირანდა ცქიტიშვილთან ერთად ორი შვილი აღზარდა, ირაკლი წოწონავა პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტია, მამუკა წოწონავა ინჟინერ-პროგრამისტი. იზარდი საკუთარი შვილებისაგან არ ანსხვავებს რძლებს, ქვეყნისა და ტრადიციების სიყვარულს უნერგავს სამ შვილიშვილს.

შრომაში, შენებაში, უკეთესი მომავლის შექმნაში გაილიენ წლები. უკან მოხედვის არ ეშინია, პირიქით, ეამაყება, რადგან თითოეულის უკან დგას მოზომილი სიტყვა, მართალი ქცევა, უანგარო სიყვარული.

ვულოცავთ ბატონ იზარდი წოწონავას 75 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას, მშვიდობას შინ და გარეთ.

მ. ეჯიბია

ვულოცავთ!

იზარდი წოწონავას ვიცნობთ, როგორც კეთილშობილ, განათლებულ, ქართული ფასეულობების პატივმდებელ, უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანს, რომელიც სიყრმიდან მუხლჩაუხრელად იღწვის მასზე მინდობილი საქმის პირნათლად შესასრულებლად. მას სადაც კი უმუშავია, ყველგან მნიშვნელოვანი კვალი დაუტოვებია, უზომოდ უყვარს მშობლიური მუნიციპალიტეტი. მისი სულის საზრდო წიგნის კითხვა და პრესის გაცნობაა. არის ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი, ,,კოლხეთის" ფურცლები უხვად ინახავს პროფესიული ნიშნით გამორჩეულ მის კორესპონდენციებს.

ვულოცავთ იუბილარს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ჩვეული სიმხნითა და შემართებით საქმიანობის გაგრძელებას.

,,კოლხეთელები"

მნიშვნელოვანი მონოგრაფია

სენაკის წარმოქმნისა და ზრდა-განვითარების ისტორია



2022 წელს საქართველოს ქალაქების ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისა და სპეციალისტების წიგნების თარო მნიშვნელოვანი მონოგრაფიით დამშვენდა. იგორ კეკელიასა და ედიშერ ბაღათურიას თანაავტორობით გამოიცა 284-გვერდიანი წიგნი – ,,ასე იწყებოდა სენაკი". ნაშრომის სახელწოდებაც იმთავითვე თვალნათლივ მიანიშნებს მის შინაარსზე – საისტორიო წყაროიებისა და საარქივო მასალების, პერიოდული პრესის, აგრეთვე მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, პირველადაა შესწავლილი სენაკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ზრდა-განვითარების ისტორია XIX საუკუნის 70-90-იანი წლებიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდამდე, სარკინიგზო ტრანსპორტის როლი სენაკის ქალაქად ჩამოყალიბების საქმეში, განაშენიანება და გარეგნული იერსახე, საქალაქო თვითმმართველობისათვის ბრძოლისა და საკრედიტო დაწესებულებების დაარსების ისტორიის საკითხები.

როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, XIX საუკუნის II ნახევარში ძველ და ახლადწარმოქმნილ ქალაქებს (წინაქალაქებს) შორის დაწყებულ მეტოქეობაში გამარჯვება ახლადწარმოქმნილ იმ ქალაქებს დარჩა, რომლებიც ძირითადად რკინიგზის ხაზზე იყვნენ განლაგებული. ავტორთა აზრით, ასეთი წინაქალაქის ტიპიურ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ახალსენაკი, რომელმაც თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით დაჩრდილა სენაკის მაზრის (ადრინდელი ოლქის) ყოფილი ცენტრი, რომელსაც მოგვიანებით ძველი სენაკი ეწოდა.

წიგნი, რომელიც სენაკის დაარსების 150 წლისთავს ეძღვნება, რეფორმისშემდგომი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, განაშენიანებისა და გარეგნული იერსახის, კეთილმოწყობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, მონოგრაფიული შესწავლის პირველი წარმატებული ცდაა.

ახალსენაკის, როგორც ახალშენის, წარმოქმნაში ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელობაზე, ვრცელი და ამომწურავი მსჯელობაა მოცემული მონოგრაფიის III თავში.

XVI-XIX სს-ის ქართულ საისტორიო წყაროებში არაერთხელ მოხსენიებული დასახლებული პუნქტი სენაკი მდებარეობს არა დღევანდელი ქალაქ სენაკის ადგილას, არამედ მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც ამჟამად სოფ. ძველი სენაკი და შხეფის გარკვეული ნაწილია. 1870-იანი წლებიდან კი სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე იწყება ახალი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრისა და საქალაქო ტიპის დაბის წარმოქმნა. რკინიგზის ხაზის გაყვანით ახალსენაკს განვითარებისა და ტერიტორიული გაფართოების ყოველგვარი პირობა შეექმნა. ტერიტორია გაფართოვდა მდ. ცივის ნაპირებიდან ახალხორშამდე. ამ უკანასკნელში განთავსებული იყო სენაკის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი (იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 90).

მონოგრაფიის IV თავში (,,სავაჭრო-სამიმოსვლო და სარკინიგზო გზების მშენებლობის საკითხისათვის (XIX ს.)") აღნიშნულია, რომ ,,1870 წელს წარმოქმნილ ახალსენაკს რკინიგზის ლიანდაგის გაყვანამ იერსახე შეუცვალა. ერთ დროს დაუსახლებელი ტერიტორია თვალსაჩინო დაბად და ფოთი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზზე, ამიერკავკასიაში ერთ-ერთ პირველი რიგის საკვანძო პუნქტად გადაიქცა" (იქვე, გვ. 144).

ამდენად, სამაზრო და სხვა დაბების ზრდა-განვითარებაში ახალი ეტაპი სწორედ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანით იწყება, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო ვაჭრობის განვითარება, სატვირთო ოპერაციების მოძრაობის ზრდა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება (იქვე, გვ. 145).

მკვლევრები სამართლიანად მიუთითებენ, რომ XIX ს-ის II ნახევარში ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცვლილებები დადებითად აისახებოდა სავაჭრო-სახელოსნო დაბის გარეგნულ იერსახესა და განაშენიანებაზე. ამ პერიოდში ჩასახული გზებისა და მათი ტრანსფორმაციის, გვართა დასახლებების, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მშენებლობის, ბაზრის, სხვადასხვა სახის სახელმწიფო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება მოცემულია მონოგრაფიის VI და VII თავებში.

VIII თავში შესწავლილია ახალსენაკის კაპიტალისტური საკრედიტო დაწესებულებების – საურთიერთო ბანკისა და სავაჭრო-სამრეწველო ბანკის (,,მეგრბანკის") საქმიანობის ისტორია, ხოლო წიგნის ბოლო, IX თავი ეთმობა ახალსენაკში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის ბრძოლის ისტორიას. ავტორები აღნიშნავენ, რომ ახალსენაკმა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის (,,ოზაკომის") განკარგულებით ქალაქის სტატუსი 1917 წლის 20 აგვისტოს (ძვ. სტილით) მიიღო. მალე თვითნებურად გაიმართა საქალაქო არჩევნები და ჩამოყალიბდა ქალაქის საბჭო, მასში შემავალი სამი პარტიით (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები) (იქვე, გვ. 260). ავტორები ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებსაც, რომ სენაკისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების დროის შესახებ სხვა მოსაზრებაც არსებობს. კერძოდ, ეს უნდა მომხდარიყო 1917 წლის მაის-ივნისში, ადგილობრივი ინიციატივების საფუძველზე (იქვე, გვ. 261, სქოლიო 2).

წიგნს ერთვის დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია, დასკვნები რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამასთანავე, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს სენაკის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფოტოსურათები, რითაც წიგნი უხვადაა ილუსტრირებული.

უდიდესი მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალული ავტორების – იგორ კეკელიასა და ედიშერ ბაღათურიას მიმართ, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს ყოველი სენაკელისათვის სამაგიდო წიგნის მომზადებისა და გამოცემის საქმეში.

ცხადია, გამოსაკვლევია ქალაქ სენაკის ახალი და უახლესი ისტორიის სხვა, არაერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი, რაც მომავლის საქმეა.

მათე დარსაძე,
ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

სწავლა სასიამოვნო პროცესი უნდა იყოს

სკოლამდელი აღზრდის სფერო ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. საბავშვო ბაგა – ბაღების მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.

დღეს ჩვენი სტუმარია სენაკის მუნიციპალიტეტის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე თამარ ტყებუჩავა. ქალბატონი თამარი სენაკელია, დამთავრებული აქვს ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფილოლოგიის ფაკულტეტი, აქვს სხვადასხვა სფეროში მუშაობის გამოცდილება. 2021 წლიდან არის ზემოაღნიშნული ბაგა-ბაღის გამგე. ჰყავს მეუღლე, იურისტი ლაშა ლაშქარავა და სკოლა "მარიოტას" მე-11 კლასის მოსწავლე სანდრო ლაშქარავა. როგორია ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურა, რამდენი აღსაზრდელი ჰყავთ, რამდენად კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული, რა მეთოდები აქვთ იმისათვის, რომ პატარებს არ გაუჭირდეთ ახალ გარემოსთან შეგუება, რამდენად აუცილებელია ბავშვი დადიოდეს სკოლამდელ დაწესებულებაში, რა სახის ღონისძიებებს ატარებენ, რა სიახლეებს სთავაზობენ აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს, ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა ქალბატონი თამარი.

გთავაზობთ საუბრის მოკლე შინაარსს.

სამ წელზე მეტია საბავშვო ბაღში ვმუშაობ, დღევანდელი გადმოსახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ბაღი მხოლოდ სამსახური არ არის, სადაც შეიძლება, მარტო ხელფასისთვის იარო, მასწავლებლობა ურთულესი საქმეა, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც დამღლელი. მაგრამ სასიამოვნო და მნიშვნელოვანი. ბავშვებთან ურთიერთობა ყოველთვის მიყვარდა, მსიამოვნებდა, სიხარულით მავსებდა. ბავშვი რომელიც საბავშვო ბაღში რვა საათს ატარებს და ამ ხნის განმავლობაში გიყურებს, გაკვირდება და იმეორებს შენს ქცევას, ე.ი მისი მოდელი ხარ. ამიტომ შეცდომის უფლება არ გაქვს.

ჩვენს ბაგა-ბაღში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ოთხი სხვადასხვა ასაკის ჯგუფი. ბაღშისულ ირიცხება 120-მდე აღსაზრდელი. რომელთა აღზრდას ემსახურება 8 აღმზრდელ-მასწავლებელი, 2 სპეც.მასწავლებელი, მუსიკის მასწავლებელი, 4 აღმზრდელის თანაშემწე, ექთანი, მზარეული და მზარეულის თანაშემწე.

ბაღი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, გვყავს როგორც მრავალწლიანი სტაჟის მქონდე აღმზრდელ-მასწავლებლები, ასევე შედარებით ახალბე-

და თანამშრომლებიც, რომელთაც კარიერა დაიწყეს სენაკის პირველ -ბაგა-ბაღში. ყველა მათგანი თავიანთი საქმის პროფესიონალია. ყველანაირად ვცდილობთ ბავშვებში გავაღვივოთ სიყვარული, მეგობრობა, ერთმანეთისადმი პატივისცემა. ჩვენი თანამშრომლების უპირველესი მოვალეობაა, რომ ბავშვებს მთელი გულით და სულით მივუდგეთ, თამაშ-თამაშით განუვითაროთ ის მნიშვნელოვანი უნარები, რაც სკოლამდელი ასაკის ბავშვს მოეთხოვება.

მართლაც, რომ ფასდაუდებელია აღმზრდელების ღვაწლი, მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს დაუღალავი შრომისა და მზრუნველობისთვის, რასაც ყოველდღიურად იჩენენ მომავალი თაობის მიმართ.

ბაღში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მრავალმხრივ შემეცნებით-განმავითარებელი, სპორტულ-გასართობი ღონისძიებები და აქტივობები ტარდება, რომელშიც ყველა აღსაზრდელი ღებულობს მონაწილეობას, ჩვენი აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში. ვატარებთ საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო პროექტებს და სხვ.

ჩემი აზრით და არა მარტო ჩემი-აუცილებელია თითოეული ბავშვი სკოლაში შესვლამდე საბავშვო ბაღში დადიოდეს. ყველა უნარ-ჩვევა, რაც სკოლისათვის მზაობას სჭირდება, ბავშვს საბავშვო ბაღში გამოუმუშავდება. აქ ბევრი დრო ეთმობა თამაშს, რადგან მას აქვს ბევრი განმავითარებელი თვისება. მისი წყალობით ბავშვი თავისთავად ითვისებს იმ უნარებს, რომლებიც წლის ბოლოს უნდა ჰქონდეს: სწავლობს სწორ ხაზზე სიარულს, ფერების ცნობას, ნივთების ამა თუ იმ ნიშნით დაჯგუფებას.... ეს არის სასიამოვნო პროცესი და ბავშვებს სწავლისადმი ნეგატიური განწყობა არ უყალიბდებათ.

2023-24 სასწავლო წელს სენაკის №1 ბაგა-ბაღი დაამთავრა 36 აღსაზრდელმა. ვულოცავ თითოეულ მათგანს და ვუსურვებ ბედნიერ, წარმატებულ და ხალისიან მომავალს.

ხშირია შემთხვევა, როცა პატარებს უჭირთ ახალ გარემოსთან შეგუება, მშობლებს ვუხსნით, რომ პირველი ორი კვირა ადაპტაციის პერიოდია და უნდა ვეცადოთ სტრესი ავარიდოთ. პირველ ეტაპზე ბავშვები ბაღში თითო ან ორ-ორი საათით მშობელთან ერთად არიან. ისინი ბაღის გარემოს ეტაპობრივად ეჩვევიან.

თამამად შემიძლია ვთქვა,რომ ჩვენს ბაღში შექმნილია ყველა პირობა ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის, გვაქვს გამართული ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებულია კვების ბლოკი, დაცულია ჰიგიენის ნორმები, მათი უსაფრთხოება მაქსიმალურადაა გარანტირებული. ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე თითოეული აღმზრდელი ცდილობს, რომ აქტივობები მაღალ დონეზე ჩაატაროს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა სენაკის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების დირექტორს ბატონ ალექსანდრე ჯანჯღავას და მის გუნდს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

ბავშვები ჩვენი მომავალი, ჩვენი ხვალინდელი დღეა, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მათი ადრინდელი ასაკიდანვე სწორი ფორმირება, აღზრდა-განათლება, რომელსაც ისინი სკოლამდელი აღზრდის კერებში იღებენ. სწორედ ამ მიმართულებით პატარების სულიერი და ფიზიკური სრულყოფისთვის დღენიადაგ ზრუნავენ ჩვენი № 1 ბაგა-ბაღის დირექტორი, აღმზრდელ-მასწავლებლები. დაუფასებელია მათი შრომა. გვინდა ,,ბავშვთა საერთაშორისო დღე" მივულოცოთ ბაღის აღსაზრდელებს, უღრუბლო ზეცა ფარავდეს მათ მუდამ.

მაია გერგაია

სანახაობრივად დატვირთული

უჩვეულოდ ლამაზი სანახაობის მომსწრენი გავხდით 11 ივნისს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, სადაც სენაკის კერძო სკოლა ,,მარიოტას" (დირექტორი ბაია კუპრეიშვილი) მეოთხეკლასელთა ჯგუფ ,,ათინათის" გამოსაშვები საღამო გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო კლასის ხელმძღვანელი, თამუნა ჯალაღონია. ქორეოგრაფები გიორგი ბუკია და მაიკო ქვარცხავა, მუსიკალური ხელმძღვანელი ეკა სიჭინავა. სკოლის 23-მა აღსაზრდელმა ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის აღსანიშნავ ღონისძიებაზე მრავალფეროვანი, კოსტუმირებული, სანახაობრივად დატვირთული მუსიკალური და საცეკვაო ნომრებით დაუვიწყარი საღამო შექმნა.

თითქოს გუშინ იყო, დაირეკა სკოლის წკრიალა ზარი და თამუნა მასწავლებელი ყვავილების თაიგულით პირველ კლასში პირველ გაკვეთილზე და პირველ საკლასო ოთახში ღიმილით შეუძღვა პაწაწინა პირველკლასელებს. უცებ გაირბინა ოთხმა შესანიშნავმა წელმა, რომელიც სავსე იყო სირთულეებით და სიხარულით აღსავსე. ბევრი სიძნელე და დაბრკოლება გადალახეს ერთად, ბევრ წარმატებებს მიაღწიეს.

11 ივნისს „მარიოტას" მეოთხე კლასელთათვის ისევ დაირეკა ზარი, ოღონდ დღევანდელი ზარის წკრიალი სულ სხვაა, ის არ გავს ადრინდელს, ეს ხმა აშორებს მათ პირველ მასწავლებელს და ამცნობს ახალი ცხოვრების დაწყებას რომელიც ელოდებათ მომავალი სასწავლო წლიდან ახალ კლასში, ახალ მასწავლებლებთან!

ანასტასია ხახუბია, ალექსანდრე კალანდია, ალექსანდრე ბერაია, ანასტასია ქობალია, ბარბარე გვასალია, ნატა გეგენავა, ელენე ფაჩულია, ანასტასია სიმსივე, ანდრია ეჯიბია, ალექსი ჯინორია, ქეთათო დამენია, ნინი მაშინაია, ანდრია ჯალალონია, ილია გვასალია, ანა მარია მირგატია, ბარბარე აკობია, ნიკოლოზ ბერიძე, ელენე ზარანდია, თეკლა შონია, ელენე თათარიშვილი, სანდრო ჯოჯუა, ანანო წულეისკირი, დათუნა ფაჩულია დიდი სიყვარულით გამოემშვიდობნენ და მადლობა გადაუხადეს თამუნა მასწავლებელს გაწეული შრომისა და ამაგისათვის. თვალცრემლიანმა პედაგოგმა კი მათ წინსვლა და წარმატებები უსურვა.

მ. შონია

2024 წლის №7-8-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

1. მინერვა 2. კოშკი 3. მონტაჟი 4. მანტია 5. დიდრო 6. კოპოლა 7. დეკორი 8. აკრობატი 9. ცისკარა 10. ირისი 11.ცინიზმი 12. მადრიდი 13. აუდი 14. ქორქია 15. არესი 16. პრეზიდიუმი

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

კორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33